საექსპერტო დასკვნა

საექსპერტო დასკვნა შედგენილია და შეესაბამება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2020 წლის დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საპროექტო ობიექტის რეკვიზიტები და შესწავლის საგანი

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა N22 ბ; ს/კ : 001.10.06.001.177 ასაშენებელი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

საექსპერტო შეფასება მოიცავს

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

6. მისაწვდომობის შეფასება

7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

11.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

პროექტის შინაარსობრივი აღწერა (ზოგადი)

პროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ ტერიტორიაზე 12 სართულიანი ნაგებობის მშენებლობას, რომლის ძირითადი ფუნქციაც იქნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. იგი განთავსებულია საკადასტრო საზღვრის ფარგლებში.

საპროექტო შენობა თავისი მონაცემებით მე-2 თავის განმარტებით მიეკუთვნება მაღლივს, სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მეტრზე მაღლაა, კონკრეტულად, ბოლო დაკავებული იატაკი +35,00 მეტრზე მდებარეობს. შენობის თითოეული დაკავებული იატაკისთვის მოწყობილია ორი გასასვლელი გზა-კიბის სახით, თითოეულის თავისუფალი გასასვლელი სიგანე 1,4 მეტრია. ასევე, შენობას ემსახურება ერთი ლიფტი, რომლის ტვირთამწეობა სულ მცირე1600 კგ-ია.

<u>პროექტის აღწერა სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით:</u>

საპროექტო შენობის ყველა სართულზე გათალისწინებულია ორი სავენტილაციო სისტემა, რომელთაგან ერთი ემსახურება შენობის გათბობა-განიავებას ჩვეულ რეჟიმში, ხოლო მეორე სისტემა ირთვება ხანძრის შემთხვევაში. ყველა სართულზე გათალიწინებულია სუფთა ჰაერით მომარაგების წყაროები და ჰაერის კომპენსაცია. საშხეფეების აღჭურვილ დერეფნებში გათალისწინებულია მექანიკური განიავების სისტემით აღჭურვილი შახტა. აღნიშნული სისტემა მოქმედებას იწყებს ხანძრისას და უზრუნველყოფს დერეფანში მოხვედრილი კვამლის მთლიანად გაწოვას. ამავდროულად ირთვება ვერტიკალური კავშირებისთვის (კიბეები, ლიფტები, ვესტიბულები) განკუთვნილი დაწნევის სისტემები სრული სიმძლავრით, რაც საბოლოო ჯამში გამორიცხავს კვამლის გამოდინებას.

გარდა ამისა, ნორმების შესაბამისად, საპროექტო შენობის ყველა სათავსში გათალისწინებულია საევაკუაციო აღმნიშვნელი განათებები, განგაშის სისტემები, ხანძრის ქრობისა და კონტროლის სისტემები. ასევე ყველა სართულზე დატანილია კარებისა და კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხები.

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვები

მრავალბინიანი სახლის დაკავებულობებს წარმოადგენს:

დს ჯგუფი (ქვეთავი 312. დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი) დამხმარე ტექნიკური ოთახები, დამხმარე სათავსები -1 სართულიდან მე-12 სართულის ჩათვლით (-3,00 ნიშნულიდან +35,00 ნიშნულის ჩათვლით);
სწ-2 ჯგუფი (ქვეთავი 311.3 და 903.2.10 - შემოზღუდული ავტოსადგომი -1 სართულზე და ღია ავტოსადგომი მიწისპირა 0 სართულზე), (-3,00 და +/- 0,000 ნიშნულზე).
სქ ჯგუფი (ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი). საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე ფართობები) მიწისპირა მე-2 სართულზე (+3,00 ნიშნული)

ჯგუფი სც-2 (310.4 საცხოვრებელი ჯგუფი სც-2) საცხოვრებელი ერთეულები, რომლების მე-3 სართულიდან მე-12 სართულის ჩათვლით (+9.40 ნიშნულიდან +35.00 ნიშნულის ჩათვლით).

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოცემული ანგარიში აკმაყოფილებს (ცხრილი 1004.1.2 მაქსიმალური ფართობის დაშვება თითო დამკავებელზე) სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე .

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი განისაზღვრა ქვეთავი 503 — (ცხრილი 503) სიმაღლისა და ფართობის ზოგადი შეზღუდვები-ის მიხედვით და წარმოადგენს I-A ტიპის კონსტრუქციას, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლის და სართულის ფართობის მიხედვით. ასევე მოცემული აკმაყოფილებს ცხრილი 601 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის (სთ) და განისაზღვრა შემდეგი სახით: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო-3 სთ; იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები--2სთ; სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები---1სთ; არამზიდი კედლები და ტიხრები შიგა--0,5 სთ. და 1 სთ. გარე არამზიდი კედლები (ცხრილი 602)---0 სთ. და 1 სთ. მოცემული შედარებები სწორია და აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება

კონსტრუქციის ტიპის ქვეთავი 503 (ცხრილი 503 შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი, შენობის სიმაღლის შეზღუდვები ნაჩვენებია მ-ში მიწის დონის ზემოთ. ფართობის შეზღუდვები ნაჩვენებია მ^2-ში „შენობის ფართობი“ განსაზღვრების მიხედვით, თითოეულ სართულზე) მიხედვით, საპროექტო შენობისთვის:

3.1 დს დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შეუზღუდავია - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 41,40 მეტრს, სართული 13 . დს (დამხმარე სათავსები) ფართობების ჯამი 76,1 მ^2;

3.2 სქ ჯგუფი დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე შეუზღუდავი, სართულიანობა შეუზღუდავი, ხოლო ფართობი შეუზღუდავი -წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 41,40 მეტრს, ოფისების სართული-1 და ფართობი ჯამში 318,8 მ^2;

3.3 სწ-2 დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე შეუზღუდავი, სართულიანობა შეუზღუდავი, ხოლო ფართობი შეუზღუდავი -წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 41.40 მეტრს, სართული 2 (პარკირება) მიწისქვეშა -1 და მიწისპირა 0 სართულებზე (-3.00 და +/- 0.000 ნიშნულებზე) და ფართობი ჯამში 756.4 მ^2;

3.4 სც-2 დაკავებულობის შენობის დასაშვები სიმაღლე შეუზღუდავი, სართულიანობა შეუზღუდავი, ხოლო ფართობი შეუზღუდავი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მოცემული შენობის ჯამური სიმაღლე შეადგენს 41.40 მეტრს, სართული 10 აღნიშნული ჯგუფისთვის . მე-3-დან 12 სართულის ჩათვლით ჯამური ფართობი 2817.0 მ^2;

<u>მოცემული შედარებები სწორია და აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს.</u>

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს შემდეგი ნაწილებით: შენობის დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, ცხრილი 1021.2(1) და ცხრილი 1021.2(2) საფუძველზე, მოცემული დაკავებულობების დატვირთვის, მდებარეობის და სავალი მანძილის მიხედვით საჭიროა მინიმუმ 2 გასასვლელის მოწყობა,

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი გასასვლელი რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას პირდაპირ, სადაც შენობის დამკავებელთა 50%-ს შეუძლია პირდაპირ სამანქანო გზასთან მოხვედრა საშხეფებით აღჭურვილი დერეფნების გავლით, ხოლო მეორე 50% დამკავებლებს საპროექტო შენობის მიწისპირა სართულზე არსებული ავტოსადგომის გავლით.

შენობიდან გამავალი სივრცეები გამიჯნულია სართულშუა 2 საათიანი ხანძარმედეგი ფილით რაც აკმაყოფილებს 1027 ქვეთავის მოთხოვნას.

მიწის დონის ქვედა -1 სართულზე გასასვლელთან მისადგომის 2 გზა-კიბე და გასასვლელთან მისადგომის 2 გზა-კარი;

მიწისპირა სართულზე შენობიდან 2 გამოსასვლელი.

მიწის დონის 2 სართულიდან მეთორმეტე სართულის ჩათვლით, თითოეულ სართულზე 2 გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარია, ასევე გასასვლელამდე სავალი მანძილი, ცხრილი 1016.2-ის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს მოთხოვნილს. გზა-კიბეები მოწყობილია 403.5.4 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნის შესაბამისად და წარმოადგენს დაუკვამლიანებელ შემოზღუდულ სივრცეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლის ანაწყობით, სადაც გათალისწინებულია 716.5 ცხრილის) თანახმად 90 (წთ) ცეცხლმედეგი კარის ჩაყენება. პროექტით კვამლის საკონტროლო სისტემა გათვალისწინებულია ქვეთავი 909.20.5 მიხედვით (ალტერნატივა კიბეზე წნევის შექმნით).

პროექტით გზა-კიბეებიდან ორივე გასასვლელი მოპირკეთებული იატაკის ზედაპირიდან +/-0,000 ნიშნულიდან პირდაპირ საზოგადოებრივ სივრცეში ხვდება. გათვალისწინებულია დერეფნების მოწყობა 1018 ქვეთავის შესაბამისად, სადაც საშხეფებით აღჭურვილი დერეფნის მინიმალური მოთხოვნა გათვალისწინებულია - 1,5 მეტრი.

გათვალისწინებულია ავტოსადგომის მინ. სიგანე 2.5 მ, ხოლო სიგრძე 5.0 მ, წესების 406.9.3.1 ქვეთავის შესაბამისად. ასევე გათვალისწინებულია საავტომობილო პანდუსის მინიმალური სიგანე 3.5მეტრი, წესების 406.9.4.1 და 406.9.4.7 ქვეთავის გამონაკლისი, სადაც 50 მანქანაზე ნაკლების შემთხვევაში დასაშვებია 3.5 მეტრი სიგანის ორმხრივი პანდუსის მოწყობა. გათვალისწინებულია საავტომობილო პანდუსის შიგა მოხვევის რადიუსი 3.5 მეტრი წესების 406.9.4.2 ქვეთავის შესაბამისად, ასევე პანდუსის დახრის პროცენტულობა არ აღემატება დასაშვებ მინიმუმს 16%-ს, სადაც საავტომობილო პანდუსისა და თარაზული სავალი ზედაპირის შეხების ადგილიდან 3.5 მეტრ მანძილზე პანდუსის ქანობი არის 10 %. წესების 406.9.4.4 ქვეთავის შესაბამისად.

მოცემული შედარებები სწორია და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება

დაკავებულობის დატვირთვის შესაბამისად მოწყობილია 2 გზა-კიბე ქვეთავი 1005.3.1; ქვეთავი 1009.4 მიხედვით, ორივე გზა-კიბის მარში მინიმუმზე 1.20 ზე მეტი სიგანისაა, გათვალისწინებულია 1.40 მეტრი სახელურებს შორის. სახელურის კონფიგურაცია აკმაყოფილბეს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს. გასასვლელიბის სხვა კომპონენტების გამტარუნარიანობა (1005.3.2) შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნებს,კერძოდ: დერეფნების სიგანე პროექტით მოცემულია 1.50 მეტრი, სათავსოებიდან გამოსასვლელი კარების ზომები და რაოდენობა მოცემულია სპეციფიკაციის მიხედვით და ასახულია პროექტში ცხრილების სახით, სუფთა ღიობის ზომა წარმოდგენს >=0,9 მეტრი, რაც შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება

შშმ პირთათვის მისაწვდომობა, 1101 ქვეთავის შესაბამისად აკმაყოფილებს მოთხოვნილ წესებს, როგორც საპროექტო შენობის შიგნით, ასევე საპროექტო შენობის გარეთ, საკადასტრო ერთეულის გეგმის ფარგლებში. საზოგადოებრივი სივრციდან შენობის 0.00 ნიშნულზე მოხვედრა შესაძლებელია პირდაპირ შემაღლების გარეშე. შენობაში გათვალისწინებულია 1 ლიფტი, რომლის ტვირთამწეობა სულ მცირე 1600 კგ-ია, ლიფტები ზომების მიხედვით არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს. ყველა გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობას ყველა სართულზე, სართულებზე შშმ პირთა გადაადგილება ხდება ლიფტების საშუალებით ყველა დაკავებულ იატაკზე, ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი, სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

გათვალისწინებულია 1702.4 ქვეთავით მოთხოვნილი საკაცის ზომა (60 X 215 მმ), რომელიც თავისუფლად ეტევა ლიფტში (ლიფტის შიდა გაბარიტებია - 2300 X 1200), ასევე გეგმებზე ნაჩვენებია საკაცის მოხვევის მანევრი, თუ როგორ ხდება ლიფტსა და ლიფტის ტამბურში მოხვედრა დაუბრკოლებლად.

შენობის +6.20 ნიშნულზე გათვალისწინებულია 1 "ა" ტიპის მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული რომელიც საკმარისია შენობაში არსებული ბინების რაოდენობისთვის 1107.6.2.1,1-ქვეთავში მოთხოვნილის შესაბამისად. დანარჩენი ბინები გათალისწინებულია, როგორც "ბ" ტიპის მისაწვდომი ერთეულები.

<u>მოცემული შედარებები სწორია და აკმაოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლის ღიობებისადმი მოთხოვნების შეფასება

საშხეფი სისტემით აღჭურვილი საპროექტო შენობის გარე კედლები ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებით, ღიობების მაქსიმალური ფართობით და დაცვის ხარისხით , 602 და 705,8 ცხრილების მოთხოვნებს შეესაბამება.

გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის მე-2 პუნქტის თანახმად, ასევე გარე კედლები 1 საათის ნაცვლად 2 საათიანი ცეცხლმედეგობისაა შენობის მთელ პერიმეტრზე.

1 -5 ღერძებში (+/-0,00 დან +35,00 ნიშნულის ჩთ.) საშხეფებით არჭურვილ შენობაში ღიობი 42 %-ია

5 - 1 ღერძებში (+/-0,00 დან +35,00 ნიშნულის ჩთ.) საშხეფებით არჭურვილ შენობაში ღიობი 31 %-ია

ა - გ' ღერძებში (+/-0,00 დან +35,00 ნიშნულის ჩთ.) საშხეფებით არჭურვილ შენობაში ღიობი 0 %-ია

გ' - ა ღერძებში (+/-0,00 დან +35,00 ნიშნულის ჩთ.) საშხეფებით არჭურვილ შენობაში ღიობი 0 %-ია

არსებული ღიობების პროცენტულობა შეესაბამება მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობის სახურავის სტრუქტურისა და არაძირითადი ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი ცხრილის 601 მიხედვით აკმაყოფილებს 1 (სთ) ხანძარმედეგობას, რაც შეესაბამება

ცხრილი 1505.1 და ქვეთავი 1505.3 მოთხოვნას და წარმოადგენს A კლასს, სახურავის ანაწყობების გადახურვა წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფენას, მრავალშრიან ბრტყელ გადახურვას მცირე ცვალებადი ქანობებით გააჩნია წყლის გადამყვანი ღარები და მილები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება

საპროექტო ობიექტის ცალკეული დაკავებულობები გამიჯნულია ერთმანეთისაგან შესაბამისი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და თარაზული ანაწყობებით 508.4 ცხრილის შესაბამისად. ასევე გამიჯნულია დაკავებულობები, ცალკეული ელემენტები შესაბამისი მოთხოვნით 708 ქვეთავის საფუძველზე; კიბის უჯრედი და შახტები შემოზღუდულია შესაბამისი 2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით (ქვეთავი 713) და (716.5 ცხრილის) თანახმად ჩაყენებულია 90 წთ. ცეცხლმედეგი კარები. დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა (საათები) აკმაყოფილებს 703-ე ქვეთავის მინიმალურ მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება

წარმოდგენილი საპროექტო შენობა, შენობანაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივს, უნდა აღიჭურვოს ხანძრისაგან შემდეგი დაცვის სისტემებით: შენობა მთლიანად აღჭურვილი უნდა იყოს ავტოსაშხეფი სისტემით (ქვეთავი 903) რაც გათვალისწინებულია პროექტში, ასევე, პროექტით გათვალისწინებულია III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემა (905 ქვეთავი, 905.3.1) საფუძველზე.

გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები 906 ქვეთავის საფუძველზე (დს, სწ-2, და სქ), ასევე საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა (907.2.12.3); ცეცხლაღმომჩენი სისტემა ქვეთავი 907 შესაბამისად (907.2.8; 907.2.11.1 და 907.5.2.3.3-ე ქვეთავების შესაბამისად) სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში დაყენებულია (907.5) სახანძრო განგაშის სისტემა და კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები; მისაწვდომ სივრცეებში და მისაწვდომ საცხოვრებელ ერთეულებში გათვალისწინებულია ხმოვანი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები, ასევე ავტოსაშხეფი სისტემა;

შიგა გასასვლელი გზა-კიბეების კვამლის საკონტროლო სისტემა გათვალისწინებულა ქვეთავი 909.20.5-ის მიხედვით (ალტერნატივა კიბეზე წნევის შექმნით), დახურულ ავტოსადგომში -1 სართულზე (-3.00 ნიშნული) მოწყობილია ფოიე, რომლის ზომაც აკმაყოფილებს მოთხოვნილს, ფოიე და ლიფტის შახტა აღჭურვილია კვამლის საკონტროლო დაწნევადი სისტემით, საშხეფებით აღჭურვილი დერეფნების განიავება ხდება 909 ქვეთავის მიხედვით, მექანიკური განიავებით. საოფისე და საცხოვრებელ სართულებზე არ არის გათალისწინებული კიბის ვესტიბულები, რადგან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით და ვესტიბულების საჭიროება აღარ დგას.

ქვეთავი 912 მიხედვით, დაყენებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შენობის შესასვლელთან და სახანძრო ჰიდრანტი საზოგადოებრივი გზის მხრიდან.

აღნიშნული სწორია და შეესაბამება მოთხოვნილს.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა თითოეული დაკავებულობისთვის, შეესაბამება ცხრილი 1602.1-ის მინიმალურ მოთხოვნებს. აღნიშნული სწორია და შეესაბამება მოთხოვნილს.

იხილეთ ანგარიშების ცხრილში.

შენიშვნა /რეკომენდაციები

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლების ადგილები შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.
3. მუშაობის რეჟიმი საგანგებო ვითარებისას:

1703.1 სათადარიგო ელექტრომომარაგება. შენობებსა და ნაგებობებში, თუ ლიფტების მუშაობისათვის საჭიროა ან იარსებებს სათადარიგო ელექტრომომარაგება, მისი მუშაობის რეჟიმი 1703.1.1 – 1703.1.4 ქვეთავების მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს.

შენიშვნა:

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით იცვლება შენობის მოსაპირკეთებელი მასალა და გადახურვაზე ასასვლელი ხწკალა კიბე, რომლის ნაცვლადაც მოეწყობა მონოლითური კიბე. უცვლელად რჩება კონსტრუქციული ნაწილი, შიდა ფართები, საინჟინრო და კომუნიკაციების ნაწილი. ზემოაღნიშნული სრულად იდენტურია შეთანხმებულ პროექტთან (ბრძანება N 7201445)

არქიტექტურული პროექტის კორექტირებით არ იცვლება ზემოთ დასაბუთებული შეფასება და სრულ შესაბამისობაშია წესებთან.

დასკვნა

საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ, ქალაქ თბილისში, მისამართზე: პეტრე იბერის N 22 ბ, ს/კ 001.10.06.001.177, ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41“ მიხედვით, „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

არქიტექტორი,
ექსპერტი: მაცაცო ჯინჭარაშვილი

06.05.2026

მისაწვდომობა

ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ. თბილისი, პეტრე იბერის N 22 ბ

საკადასტრო კოდი: 001.10.06.001.177

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ის შესაბამისობის ანალიზი:

- მისაწვდომი სვლაგეზი

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს (სავაჭრო თაროებს შორის), თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში.

ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. საპროექტო შენობის ლიფტები აკმაყოფილებს სატნდარტების 407 ქვეთავის მოთხოვნებს ლიფტები, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- ადგილის და შენობის ელემენტები

საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი. - კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.
- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი ნიშანი წარწერით „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

▪ წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზის განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 400 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1300 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით. - უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. ტუალეტის ოთახებში განთავსებული ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 ქვეთავის შესაბამისად.
- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

▪ საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის №41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი / EXIT“. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებულ ყველა მისაწვდომ ერთადგილიან ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოეწყობა მისაწვდომი მიკროავტობუსის გასაჩერებელ ადგილზე, მიწისპირა (+/- 0.000 ნიშნულზე) არსებულ ავტოსადგომზე. ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3
  - ქვეთავისა. - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**
  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.
  - ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
  - ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს. - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

▪ მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები

საპროექტო შენობაში მისაწვდომი ერთეულების რაოდენობების მოთხოვნა დადგენილია „ მიწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებების მიხედვით, კერძოდ:

მისაწვდომი ერთეული:

საპროექტო შენობაში გათალისწინებულია 43 საცხოვრებელი ერთეული, +6.20 ნიშნულზე გათვალისწინებულია 1 მისაწვდომი "ა" ტიპის საცხოვრებელი ერთეული, რომელიც საკმარისია შენობაში არსებული ბინების რაოდენობისთვის 1107.6.2.1,1- ქვეთავში მოთხოვნილის შესაბამისად.

დანარჩენი 42 საცხოვრებელი ერთეული გათალისწინებულია "ბ" ტიპის მისაწვდომად.

„ბ“ ტიპის საძინებელი ერთეული:

კარები: ყოველი საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შესასვლელი და ერთეულში განთავსებული ყველა კარის თავისუფალი სიგანე, რომელშიც დამკავებლებმა უნდა გაიარონ არ არის 880მმ ნაკლები, ასევე მეტი თვალსაჩინოებისთვის დამატებულია შშმ სამოძრაო ბილიკები.

შენიშვნა:

ჯორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით იცვლება შენობის მოსაპირკეთებელი მასალა და გადახურვაზე ასასვლელი პწკალა ჯიბე, რომლის ნაცვლადაც მოეწყობა მონოლითური ჯიბე.

უცვლელად რჩება კონსტრუქციული ნაწილი, შიდა ფართები, საინჟინრო და კომუნიკაციების ნაწილი. ზემოაღნიშნული სრულად იდენტურია შეთანხმებულ პროექტთან (ბრძანება N 7201445)

არქიტექტურული პროექტის ჯორექტირებით არ იცვლება ზემოთ დასაბუთებული შეფასება და სრულ შესაბამისობაშია წესებთან.

❖ დასკვნა

ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქალაქ თბილისში, მისამართზე - პეტრე იბერის N22 ბ, დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომლობის ეროვნული სტანდარტები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების მოთხოვნებთან საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: მაცაცო ჯინჭარაშვილი

თარიღი 06.05.2026







სამუშაო გამოცდილება	
	• 08/2022-დან დღემდე - შპს "Line Georgia" - **არქიტექტორი** • 10/2019 - 08/2022 - შპს "Buildorax" - **მთავარი არქიტექტორი** • 02/2017-დან დღემდე - შპს "Modify" - **დამფუძნებელი დირექტორი, არქიტექტორი** • 03/2015 – 01/2017 - საპროექტო ორგანიზაცია შპს „ბონა დეა და კომპანია“ - **არქიტექტორი**. • 09/2014 – 02/2015 - საპროექტო-სამშენებლო კომპანია შპს „ვაკო“ - **არქიტექტორი** • 01/2013 – 10/2013- LEA development (სამშენებლო მასალების გერმანულ კომპანია Sto-ს ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში) – **არქიტექტორი - სამშენებლო მასალების ექსპერტი**.

დამატებითი ინფორმაცია:

- პირველი შეთანხმებული პროექტი თბილისის არქიტექტურის სამსახურში (**AR1336194** - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) თარიღდება **20.08.2015** წლით. მას შემდეგ მაქვს არქიტექტურული საქმიანობის უწყვეტი გამოცდილება თბილისსა თუ სხვა მუნიციპალიტეტებში.

ქ. თბილისი 15 ივლისი 2022 წ.

ც ნ ო ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს “მოდიფაი” (ს/კ 405132592) დაარსდა 2016 წლის 20 იანვარს, მისი დამფუძნებელი და დირექტორი ვარ მე, მაცაცო ჯინჭარაშვილი (პ/ნ 01008050900). დაარსების დღიდან დღემდე ვმუშაობ არქიტექტორის პოზიციაზე.

შპს “მოდიფაი”-ს დირექტორი:

/მაცაცო ჯინჭარაშვილი/

N 2022 - 004

სერტიფიკატი

გადაეცა მაცაცო ჯინჭარაშვილი

პ/ნ 01008050900

მასზედ, რომ მან გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ტრენინგ-კურსი

არქიტექტურის დოქტორი. არქიტექტორი

გიორგი ლოთიშვილი

31.08.2022